

საქართველოს პარლამენტის არჩევნები 2016

- ✘ გარემოს დაცვა
- ✘ ბუნებრივი რესურსები
- ✘ მდგრადი განვითარება

უსუფაშვილი -
რესპუბლიკელები

ამონარიდი

2016 წლის საპარლამენტო
არჩევნებისთვის გამოქვეყნებული
საარჩევნო პროგრამიდან

საარჩევნო პროგრამა სრულად ხელმისაწვდომია

პოლიტიკური გაერთიანების ვებ-გვერდზე: <http://bit.ly/2cRq40C>

მწვანე ალტერნატივას ვებ-გვერდზე:

დეცენტრალიზაცია, ადგილობრივი თვითმმართველობა და რეგიონული განვითარება

სასოფლო-სამეურნეო მიწები (სახნავი, სამოვარი, სათიბი და ა.შ.) ეკონომიკის სამინისტრომ სრულად და შეუფერხებლად უნდა გადასცეს მუნიციპალიტეტებს. ასევე, ურბანული მიწების და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების გადაცემისა და რეგისტრაციის პროცესი სწრაფად უნდა წარიმართოს. პარალელურად, ამ რესურსების საფუძველზე, უნდა გატარდეს საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის არასაგადასახადო ტიპის შემოსავლების მკვეთრ ზრდას, ხოლო პრივატიზება და იჯარით გაცემა უნდა მოხდეს მხოლოდ ელექტრონული აუქციონით.

დემოკრატიული გზით ფორმირებულმა სამხარეო სტრუქტურამ თავის თავზე უნდა აიღოს მრავალი სამეურნეო და სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია, რომელიც მთავრობისათვის ზედმეტი ტვირთია, ხოლო მუნიციპალიტეტებისათვის ძნელად შესასრულებელია. მაგალითად, მას შეიძლება დაეკისროს ისეთი საქმეები, როგორებიცაა: რეგიონული ნაგავსაყრელების მართვა, მუნიციპალიტეტებს შორის გამავალი და სხვა რეგიონული გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა, ისეთი კულტურული თუ სპორტული დაწესებულებების, ძეგლების, ღონისძიებების მართვა, რომელთა მნიშვნელობა ერთი კონკრეტული მუნიციპალიტეტის ფარგლებს სცილდება და მისთ; ასევე, რეგიონული განვითარების დაგეგმვასა და ინვესტიციების, ბიზნესის მხარდაჭერაში გარკვეული ფუნქციები და ინსტრუმენტები. ამით ეს ორგანოები პოლიტიკური წარმონაქმნებიდან გადაიქცევა სახელმწიფოს განვითარების ხელშემწყობ სტრუქტურებად.

წყალმომარაგება

შენ გინდა, რომ ყველა ოჯახი უზრუნველყოფილი იყოს სასმელი წყლითა და კანალიზაციით. საამისოდ საჭიროა ახალი კანონის მიღება და მის საფუძველზე წყალმომარაგებისა და წყალარინების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება. დღემდე გადაუჭრელია ჩვენი მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის პრობლემა. მრავალ სოფელში უშუალოდ ოჯახებს სასმელი წყალი საერთოდ არ მიეწოდება, რომ აღარაფერი ვთქვათ თითქმის ყველა ქალაქსა და სოფელში წყლის უწყვეტად მიწოდების პრობლემაზე. სოფლის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სვამს სასმელად უვარგის წყალს. და ეს მაშინ, როდესაც მტკნარი ხარისხიანი სასმელი წყლის მიწისქვეშა განახლებადი დამიებული მარაგის ერთი მეათედი სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ მთელმა

საქართველომ უწყვეტად მიიღოს მაღალი ხარისხის სასმელი წყალი.

ჩვენ შეგვიძლია, ერთხელ და სამუდამოდ გადავჭრათ ყოველი ოჯახის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფის პრობლემა!

ამისათვის აუცილებელია სასმელი წყლით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის მიღება, რომლითაც უნდა განისაზღვროს შესასრულებელი სამუშაოები, მათი შესრულების ეტაპები და ვადები, პასუხისმგებელი უწყებები, წყლის რესურსის მართვის საკითხები, დაფინანსების მოცულობა, მოხმარებული წყლის სატარიფო პოლიტიკა. ამ პროგრამის ძირითადი ელემენტებია:

1. მიწისქვეშა წყლებზე მონიტორინგის სახელმწიფო საყრდენი ქსელის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია, რომელიც მოიცავს:
2. მიწისქვეშა წყლების დამაბინძურებელი სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და სხვა სახის ობიექტების აღრიცხვა, ხარვეზების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის ღონისძიებები (გაფრთხილება, დაჯარიმება, წარმოების შეჩერება და სხვ.).
3. ჰიდრომონიტორინგის დროში უწყვეტობის უზრუნველყოფა.
4. წყლის რესურსის მართვის სისტემის შექმნა.
5. პროგრამის შესრულების უზრუნველყოფა კვალიფიციური რესურსით. ჰიდროგეოლოგიის სფეროში წლების განმავლობაში ხელისუფლების არაგონივრული პოლიტიკის შედეგად დღეს უკვე საგრძნობია ასეთი რესურსის დეფიციტი. აუცილებელია პროფესიული კადრების მოსამზადებელი პროგრამების შექმნა და დანერგვა; ჰიდროგეოლოგების გადამზადება და ახალი სპეციალისტების მომზადება სამუშაოთა სპეციფიკის გათვალისწინებით; შესაბამისი დარგის პედაგოგთა გადამზადება თანამედროვე მეთოდებთან ადაპტაციის მიზნით, მათ შორის, უცხოეთში.

მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე მოსახლეობის წყალმომარაგებითა და წყალარინებით უზრუნველყოფა, რომელიც „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ არის მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებად დაკანონებული, რეალურად უნდა განხორციელდეს და მუნიციპალიტეტებს საამისოდ საჭირო მექანიზმები და ქონება უნდა გადაეცეს.

უახლოეს პერიოდში უნდა მოხდეს წყალმომარაგებისა და წყალარინების შესახებ მომზადებული კანონპროექტის მიღება, რომელიც განსაზღვრავს მუნიციპალიტეტების როლს წყალმომარაგების და წყალარინების ოპერატორ კომპანიებთან მიმართებაში, კაპიტალურ პროექტებში კი გამიჯნავს ხელისუფლების ყველა დონის პასუხისმგებლობას და მოახდენს ფინანსური რესურსების გეგმაზე

დაფუძნებული ხარჯვის და ამოცანების კონსოლიდაციის შესაძლებლობებს.

ყველა მუნიციპალიტეტში ცალ-ცალკე წყალმომარაგების კომპანიების შექმნა ეკონომიკურად არაეფექტიანი იქნება. ამდენად, მიზანშეწონილია, მუნიციპალიტეტებმა შექმნან ერთობლივი რეგიონული წყალმომარაგების კომპანიები (შემდგომში, რეგიონული კომპანიები). ამასთანავე, მათი საზღვრები ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონების საზღვრებს შეიძლება არც ემთხვეოდეს. რეგიონული კომპანიების დაფარვის ტერიტორია უნდა მოიცავდეს ქვეყნის ყველა დასახლებულ პუნქტს, ანუ სრულად უნდა დაიფაროს საქართველოს ტერიტორია.

კანონის მიღების შემდეგ მუნიციპალიტეტების მიერ ერთობლივად, რეგიონული პრინციპით, მოხდება წყალმომარაგების კომპანიების დაფუძნება და მათი ზედამხედველი წყალმომარაგების სამხარეო საბჭოების ფორმირება. ამით მოხდება წყალმომარაგების ერთიანი გეგმების, საპროექტო და სხვა სამუშაოების კონსოლიდაცია და კოორდინაცია მელიორაციის სისტემასთან. ამ პროცესმა უნდა უზრუნველყოს, რომ არც ერთი დასახლება არ დარჩეს წყალმომარაგებისა და მასზე პასუხისმგებელი კომპანიის ეფექტური ოპერირების სისტემის გარეშე. გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია უნდა გარდაიქმნას რეგიონული ტერიტორიული პრინციპით, მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ კომპანიებად. სახელმწიფო კომპანიის არსებული სერვის ცენტრები შეიძლება გარდაიქმნას რეგიონული კომპანიების ოფისებად.

დღეს არსებული, ხშირ შემთხვევაში კუსტარული, სასოფლო წყალმომარაგების ტექნოლოგიურ სტანდარტებში მოქცევისა და კომერციალიზაციისთვის, საკანალიზაციო სისტემების გამწმენდი ნაგებობებით უზრუნველსაყოფად კანონით განისაზღვრება წყალმომარაგების სისტემის განვითარების ერთიანი ეროვნული გეგმის (ცენტრალური, რეგიონული და მუნიციპალური კომპონენტებით) შემუშავება, ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტში გამოიყოფა სოფლის წყალმომარაგების სპეციალური ფონდი, როგორც კაპიტალური პროექტების თანადაფინანსების ინსტრუმენტი.

მნიშვნელოვანია, რომ წყალმომარაგებასთან დაკავშირებული პოლიტიკა უშუალოდ გამომდინარეობდეს საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებებიდან, რომელიც ითვალისწინებს ცალკეულ ევროდირექტივების ჩვენს პოლიტიკაში ასახვასა და ჰარმონიზაციას.

ამასთანავე, მთლიანი ინსტიტუციური და საკანონმდებლო რეფორმირება ორიენტირებული უნდა იყოს კონკრეტულ ამოცანებზე, რათა საბოლოო მიზანი იყოს ყველა ქალაქსა და სოფელში თითოეული ოჯახის უზრუნველყოფა წყალმომარაგებისა და წყალარინების (შესაბამისი გამწმენდი ნაგებობებით) სისტემით. 4-წლიანი პერიოდისთვის მუნიციპალური, სახელმწიფო და დონორების ფინანსური რესურსების ოპტიმალური განაწილება/კონსოლიდაციის და სწორი ინსტიტუციური პოლიტიკის საფუძველზე ჩვენ უზრუნველვყოფთ ქართული სოფლების 80%-ზე მეტს წყალმომარაგებით, ხოლო წყალარინების სისტემით - ურბანულ დასახლებებს (ქალაქები და დაბები, და ტერიტორიული ოპტიმიზაციის შედეგად წარმოქმნილი ახალი ადმინისტრაციული ცენტრები).

ენერგეტიკა

შენ გინდა, რომ გქონდეს უწყვეტი მომარაგება ელექტროენერგიით, მაგრამ საამისოდ არ გადაიხადო გაუმართლებლად მაღალი ფასი.

ამისათვის საჭიროა ენერგეტიკული პოლიტიკის წარმართვა ისე, რომ ყველა განახლებადი ენერგეტიკული რესურსის (ჰიდრო-, ბიო-, მზე, ქარი, გეოთერმული) ფართო ათვისების კვალობაზე, სტრატეგიულად ეს დარგი იყოს ორიენტირებული არა მარტო ელექტროენერგიის ექსპორტიდან შემოსავლების გენერირებაზე, არამედ შიდა ბაზარზე ელექტროენერგიის ტარიფების მინიმიზაციაზეც.

აღსანიშნავია, რომ განახლებადი ენერგიები დიდი მოცულობებით იშვითად გვხვდება, შესაბამისად, თავის თავში ის გულისხმობს ენერგიების დივერსიფიცირებულ გენერაციას რაც იწვევს დღეს არსებული საკანონმდებლო თვალსაზრისით მთელ რიგ შეზღუდვებს და წინააღმდეგობებს. შესაბამისად საჭიროა ენერგეტიკული ლიბერალური საკანონმდებლო პაკეტების მომზადება, სადაც წახალისებული იქნება მსგავსი პროექტები, რაც შექმნის ენერგიების წარმოების სტიმულირებას როგორც სახელმწიფო, ასევე მუნიციპალურ ან თუნდაც მოქალაქეების დონეზე.

ენერგოგენერაციის ფასების მინიმიზაცია კი მიიღწევა მიკრო და მცირე გენერაციის წყაროებიდან, ფართო კონკურენციის კვალობაზე შიდა ენერგობაზრის დარეგულირების გზებით და არა მონოპოლიური ან ოლიგოპოლიური ენერგობაზრით.

ენერგიის გენერაცია მაქსიმალურად უნდა შემცირდეს იმპორტირებულ ნედლეულზე და ეტაპობრივად გადავიდეთ შიდა რესურსების რაციონალურ ათვისებაზე, რაც საბოლოო პროდუქტის თვითღირებულების შემცირების საწინდარია.

ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებით კი აუცილებელი კომპონენტია სახელმწიფოს თანამონაწილეობა (ბიუჯეტი), რომელიც დიდი ნაბიჯი იქნება ინვესტორის სტიმულირებისათვის, ხოლო მიკროპროექტების განხორციელებისას საბანკო სექტორიდან ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგიების წარმოების დაკრედიტების დაბალპროცენტიანი ან უპროცენტო თანამონაწილეობა.

სხვა ენერგეტიკული პროექტების და, აუცილებლობის შემთხვევაში, ენერგომატარებლებზე აქციზების შემცირების გამოყენებითაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს წარმოებისთვის მნიშვნელოვანი ენერგეტიკული დანახარჯების არსებითად დაბალი დონე. ეს უნდა გახდეს ენერგეტიკული პოლიტიკის ამოცანა, რომელიც უნდა დაბალანსდეს ექსპორტზე ორიენტირების

ამოცანასთან.

მუნიციპალიტეტებს უნდა მიეცეთ ფინანსური საშუალება, ხელი შეუწყონ ენერგოეფექტური ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვას, როგორც ახალი მშენებლობების, ასევე ძველი შენობების ენერგოეფექტურობის გასაზრდელად. საამისოდ უნდა შეიქმნას საკანონმდებლო საფუძვლები მათ მიერ ევროპული ფონდებიდან და სხვა დონორებისაგან გრანტების მოსაზიდად, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ხელშეწყობის პირობებში.

ჩვენთვის ელექტროენერგეტიკულ პოლიტიკაში უმთავრესი მიმართულებებია ენერგეტიკული დამოუკიდებლობა და დივერსიფიკაცია, მოსახლეობის ენერგეტიკული დანახარჯების შემცირება, ენერგეტიკის გარემოსდაცვითი ორიენტაცია. ამავდროულად, პოლიტიკა გამოკვეთილად ორიენტირებული იქნება ორ უმთავრეს აქცენტზე: 1. იაფი და სუფთა ენერგეტიკული რესურსების ათვისება და ელექტროენერჯის ტარიფების მკვეთრი შემცირება საშუალო და გრძელვადიან პერიოდში უნდა გადაიქცეს ინდუსტრიისათვის დანახარჯების მკვეთრი შემცირების საფუძვლად და 2. ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში ქვეყნის ეკოლოგიური მდგომარეობის რადიკალური გაუმჯობესება და „მწვანე“ ქვეყნის ბრენდირება საერთაშორისო აგრარულ და ტურისტულ ბაზრებზე.